

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი
კავკასიური
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS
CAUCASIAN
HOUSE



განთავსებულია და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
INSTITUTE FOR THE STUDY OF NATIONALISM AND CONFLICTS



შეთანხმება ძალის არგამოყენების შესახებ: თბილისი გზაგასაყარზე

NON-USE OF FORCE AGREEMENT: TBILISI AT THE CROSSROADS



Funded by
UK Government

2017

**შეთანხმება ძალის არგამოყენების შესახებ:
თბილისი გზაგასაყარზე**

**ივანე აბრამაშვილი
ზვიად ავალიანი**

2017

თქვენს წინაშეა რეგიონული უსაფრთხოების ერთ-ერთი მექანიზმის, ძალის არგამოყენების საკითხის შესახებ ქართულ საზოგადოებაში არსებული მიდგომების ანალიზისა და შესაძლო გზების დასახვის შესახებ ჩატარებული კვლევა. ამ მასალაზე დაყრდნობით შექმნილი მოხსენება წაკითხული იყო 2017 წ. 10-12 თებერვალს მინსკში, ბელარუსი, ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

პუბლიკაცია მომზადებულია რეგიონული პროექტის „მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის „კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და არ ასახავს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ოფიციალურ პოზიციებს.

ავტორები: ივანე აბრამაშვილი, ზვიად ავალიანი

რედაქტორი: ნინო კალანდარიშვილი

თარგმანი: გურამ დუმბაძე

დიზაინი: ქეით გაბრისი

ტირაჟი: 150

ISBN 978-9941-9510-2-2

სარჩევი

შესავალი	4
ქალის არგამოყენება საერთაშორისო სამართალში	5
ქალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების საერთაშორისო კონტექსტი	5
დნესტრისპირეთი – მოლდოვა	5
კოსოვო – სერბეთი.....	6
ჩრდილოეთ კვიპროსი – კვიპროსის რესპუბლიკა.....	8
საერთაშორისო გამომწვევების კონტექსტუალიზაცია საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში	9
საქართველო და ქალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება	10
2008 წლის აგვისტოს ომი და ახალი რეალობა	11
2012 წლის არჩევნები: ახალი მთავრობა, ახალი მიდგომები?	14
დასკვნა	15

შესავალი

მუქარა და ძალის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკური კლიმატის ფორმირებაში. კონფლიქტების დამანგრეველი ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეკავება საკაცობრიო ამოცანადაა ქცეული. შედეგად, საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს დაპირისპირება და აგრესია მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე.

მოცემული ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველის მიზანია, მიმოიხილოს ძალის არგამოყენების ცნება საერთაშორისო სამართალში და სამი კონფლიქტური რეგიონის – დნესტრისპირეთის, კოსოვოსა და ჩრდილოეთ კვიპროსის მაგალითზე შეისწავლოს, თუ რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმება მათი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში. მოცემული ქეისები შეიქმნა რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით: სამივე კონფლიქტი მოუგვარებელია, დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებობს ეთნიკური განსხვავებულობა, სამივე კონფლიქტში შეინიშნება სეცესიონისტური მისწრაფებები და სამივე მათგანი გეოგრაფიულად ევროპის კონტინენტზე ვითარდება; ნაშრომის მეორე ნაწილი ფოკუსირებული იქნება უშუალოდ საქართველოს კონფლიქტებზე და თბილისში არსებულ ხედვებზე, თუ რა როლი აკისრია ძალის გამოყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მისი კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

ქალის არგამოყენება საერთაშორისო სამართალში

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ქალის გამოყენებაზე უარის თქმა რეგულირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიით, რომლის 2(4) მუხლის თანახმად – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ქალის, მუქარის ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისათვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით“.¹ წესდება არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „ქალის“ მიღმა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დასრულების ფონზე, გაეროს დაარსების ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, ფართოდ მიიჩნევა, რომ მოცემული ცნება გულისხმობს შეიარაღებულ თავდასხმას. ამასთან, იმის გამო, რომ ხშირად ხდება „ცეცხლის შეწყვეტის“, „საომარი მოქმედებების განუახლებლობისა“ და „ქალის არგამოყენების“ ცნებების ერთმანეთში არევა, აუცილებელია მათი გამიჯვნა, ვინაიდან პირველი ორი ვინრო, დროებითი ხასიათისაა, მორგებული კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციას, მაშინ როცა ამ უკანასკნელს ფართო და ზოგადი დატვირთვა აქვს.

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო სამართლის მთავარ სუბიექტს წარმოადგენენ სუვერენული სახელმწიფოები, კვლევისთვის აქტუალურია განიმარტოს, თუ რამდენად ვრცელდება ზემოთ მოცემული ლეგალური ჩარჩო „დე ფაქტო“, „თვითალიარებულ“ და „არალიარებულ“ სახელმწიფოებსა თუ სუბიექტებზე. ამ საკითხზე ვრცელი თეორიული დებატების მიუხედავად, მიიჩნევა, რომ *დე ფაქტო* რეჟიმები ნაწილობრივ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს და შეზღუდული სახით აქვთ კონკრეტული უფლებები და ვალდებულებები.² მათზე ვრცელდება ქალის არგამოყენების პრინციპიც³, რასაც გერმანელი აკადემიკოსის, იოჰან ფროვეინის მტკიცებით, საფუძვლად უდევს გაეროს 1970 წლის დეკლარაცია მეგობრული ურთიერთობების შესახებ, გენერალური ასამბლეის 3314-ე რეზოლუცია და სახელმწიფოთა პრაქტიკა.⁴

ქალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების საერთაშორისო კონტექსტი

დნესტრისპირეთი – მოლდოვა

1990-1992 წლების დნესტრისპირეთის ომის პოსტკონფლიქტურ ფაზაში გადასვლის შემდეგ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის არაერთი ხელშეკრულება გაფორმდა. ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება შედგა 1997 წელს, მოსკოვში, რომელსაც ეუთოსა და რუსეთის მხრიდან წინ უსწრებდა საკმაოდ ინტენსიური მედიაციის პროცესი.⁵

1995 წლის 5 ივლისს მოლდოვის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა და დნესტრისპირეთის ლიდერმა იგორ სმირნოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორმხრივ ურთიერთობებში

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. იხ. <http://un-georgia.ge/uploads/UNCharter.pdf>

² Essen, von Jonte. *De-Facto Regimes in International Law, Merkourios – International and European Security Law – Vol. 28/74*, გვ. 49

³ Stürchler, Nikolas. *The Threat of Force in International Law*, Cambridge University Press, 2007. გვ. 124

⁴ Essen, von Jonte... გვ. 37

⁵ *Moldova/Trans-Dniester (1990-present)*, University of Central Arkansas. იხ. <http://uca.edu/politicalscience/dadm-project/europerussiacentral-asia-region/moldovatrans-dniester-1990-present/>

სამხედრო ძალისა და ეკონომიკური სანქციების არგამოყენების შესახებ.⁶ იმდენად აღნიშნული დოკუმენტი არ გამხდარა მხარეებისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე, რამდენადაც მომდევნო ვრცელი ხელშეკრულება, რომლის ერთგვარ პრელუდიასაც იგი წარმოადგენდა. სწორედ ახალ ხელშეკრულებას უნდა დაერეგულირებინა ურთიერთობები კონფლიქტის მხარეთა შორის, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „მემორანდუმი მოლდოვის რესპუბლიკასა და დნესტრისპირეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის საფუძვლების შესახებ“ (იგი ასევე ცნობილია „მოსკოვის“ ან „პრიმაკოვის მემორანდუმის“ სახელით).⁷

მოსკოვის მემორანდუმს ხელი 1997 წლის 8 მაისს მოაწერეს მოლდოვის პრეზიდენტმა ლუჩინსკიმ და დნესტრისპირეთის პრეზიდენტმა სმირნოვმა, გარანტორ მხარეებს კი უკრაინა და რუსეთი წარმოადგენდნენ.⁸ მემორანდუმის მიხედვით მოლდოვის რესპუბლიკისა და დნესტრისპირეთის ურთიერთობები ერთი სახელმწიფოს შიგნით, ყოფილი მოლდოვის სსრ-ის საზღვრებში, უნდა განვითარებულიყო. მხარეები ადასტურებდნენ ერთგულებას გაეროს, ეუთოსა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების მიმართ და იღებდნენ პასუხისმგებლობას სამოქალაქო მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარებაზე. მოლდოვამ და დნესტრისპირეთმა გამოხატეს მზაობა, „უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ან მუქარაზე ძალის გამოყენების შესახებ მათ ორმხრივ ურთიერთობებში. ნებისმიერი უთანხმოება უნდა მოგვარდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებითა და კონსულტაციებით, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის, როგორც მიღწეული შეთანხმებების შესრულების გარანტორი ქვეყნების დახმარებით; ასევე ეუთოსა და დსთ-ის მხარდაჭერით“.⁹

საინტერესოა, რომ მოსკოვის მემორანდუმით კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის ყალიბდებოდა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები და ამ უკანასკნელის სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. დნესტრისპირეთი ასევე მონაწილეობდა მოლდოვის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის წარმართვაში და მას ენიჭებოდა უფლება, ცალმხრივად დაემყარებინა საერთაშორისო კონტაქტები ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა ორმხრივად შეთანხმებულ სფეროებში.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ 1997 წლის მემორანდუმი განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული კიშინიოვსა და ტირასპოლში, ის მაინც ფუნდამენტურ შეთანხმებად რჩება კონფლიქტის ორ მხარეს შორის, ვინაიდან მან შექმნა მყარი ბაზისი სამომავლო ინიციატივებისა და თანამშრომლობისთვის.

კოსოვო – სერბეთი

კოსოვოს სტატუსი, სერბეთის არაღიარების პოლიტიკა და ეთნიკურად სერბებით დასახლებული მუნიციპალიტეტების სტატუსი პრიშტინასა და ბელგრადს შორის არსებული ურთიერთობების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია. 2008 წელს კოსოვოს მიერ

⁶ Галин, Александр. Доверия не заслуживающие. *იბ.* <http://materik.ru/problem/detail.php?ID=8433>

⁷ Kosienkowski, M. & Schreiber, W. *Moldova: Arena of International Influences*, Lexington Books, 2012. გვ. 223

⁸ Memorandum On the Bases for Normalization of Relations Between the Republic of Moldova and Transdneistria, OSCE. *იბ.* <http://www.osce.org/moldova/42309?download=true>

⁹ იქვე

¹⁰ იქვე

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი ჩამოყალიბდა. შედეგად, კოსოვოელებსა და სერბებს შორის დიალოგმა ორმაგი მნიშვნელობა შეიძინა.

2011 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა საფუძველი ჩაუყარა ბელგრადსა და პრიშტინას შორის ოფიციალურ დიალოგს, რომელიც ე.წ. „გადაღვრის“ (spill-over) პრინციპზე იყო დაფუძნებული.¹¹ სანყის ეტაპზე მას ჰქონდა ტექნიკური დატვირთვა, რომელიც ეტაპობრივად პოლიტიკურში გადაიზარდა. 2011 წლის მარტიდან 2012 წლის მაისამდე ტექნიკური დიალოგის ფარგლებში არაერთი შეთანხმება იქნა მიღწეული, რომელიც უმეტესად გადაადგილების თავისუფლებას, საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, სავაჭრო ურთიერთობებსა და სხვა მსგავს საკითხებს ეხებოდა.¹² ათამდე უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ, 2013 წლის 19 აპრილს, ბრიუსელში კოსოვოსა და სერბეთს შორის ხელი მოეწერა ისტორიულ ხელშეკრულებას, რომელსაც ეწოდა „პირველი შეთანხმება ურთიერთობების ნორმალიზაციის წარმართველი პრინციპების შესახებ“.¹³ შეთანხმება მოიცავდა 15 პუნქტს, რომელთა უმეტესობა ეხებოდა ეთნიკურად სერბებით დასახლებული, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილის ადმინისტრაციულ მოწყობას, თუმცა ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენდა მე-14 პარაგრაფი, რომლის მიხედვით „არცერთი მხარე არ დაბლოკავს, ან ნაახალისებს სხვას, დაბლოკოს მეორე მხარის პროგრესი ევროკავშირისკენ მიმავალ მათ საკუთარ გზებზე“.¹⁴ მოცემული დებულება ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას იძლევა, თუმცა ცალსახაა, რომ მასში მოიაზრება მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლებიც, ვინაიდან სწორედ კოსოვოსა და სერბეთის ურთიერთობების ჰარმონიზაცია წარმოადგენს ევროკავშირში მათი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას.¹⁵

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ცალკე მშვიდობის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერა არაერთხელ დამდგარა პრიშტინისა და ბელგრადის დიალოგის დღის წესრიგში. მოცემული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია კოსოვოელ პოლიტიკოსებს შორის, რომლებიც სერბეთთან საერთაშორისო სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების იდეით გამოდიან,¹⁶ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ამ თემის გააქტიურება კოსოვოს პოლიტიკურ ელიტას შიდა მანიპულაციისა და წინასაარჩევნო ლეგიტიმაციისთვის უფრო სჭირდებოდა.¹⁷ თავის მხრივ, სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის ივიცა დაჩიჩის განცხადებით, ბელგრადი გამორიცხავს ყველანაირ შესაძლებლობას ამგვარ საერთაშორისო შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ. მისი თქმით, კოსოვოსთან აქამდე მიღებული ყველა დოკუმენტი სტატუსნეიტრალური იყო და, შესაბამისად, მოცემული ინიციატივის განხორციელება ნაკლებად სავარაუდოა.¹⁸

¹¹ Serbia and Kosovo: Normalisation of relations, European Parliament, 2016. *იხ.* [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2016/579079/EPRS-ATA\(2016\)579079-EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2016/579079/EPRS-ATA(2016)579079-EN.pdf)

¹² იქვე

¹³ Smolar, Piotr. Serbia and Kosovo sign historic agreement, *The Guardian*, 2013. *იხ.* <https://www.theguardian.com/world/2013/apr/30/serbia-kosovo-historic-agreement-brussels>

¹⁴ First Agreement of Principles Governing the Normalization of Relations, 2013

¹⁵ Serbia and Kosovo reach landmark deal, *European Union External Action*. 2013. *იხ.* http://eeas.europa.eu/top_stories/2013/190413_eu-facilitated_dialogue_en.htm

¹⁶ Tota, Elton. Peace treaty between Serbia and Kosovo, *Independent Balkan News Agency*, 2015. *იხ.* <http://www.balkaneu.com/peace-treaty-serbia-kosovo/>

¹⁷ Foreign minister says no to peace treaty with Kosovo, *Economist Intelligence Unit*, 2014 *იხ.* https://country.eiu.com/article.aspx?articleid=1232242507&Country=Serbia&topic=Politics&subtopic=_3

¹⁸ FM: Serbia won't sign „peace deal with Kosovo“, *B92*, 2014. *იხ.* http://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2014&mm=09&dd=02&nav_id=91469

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ პრიშტინისა და ბელგრადის ურთიერთობების და-
ლაგება მხოლოდ დროის ფაქტორზეა დამოკიდებული, განურჩევლად იმისა, მოენერება
თუ არა კონკრეტულად სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი, ვინაიდან ევროკავშირის
მიერ მხარდაჭერილი დიალოგის პროცესი ისედაც საკმაოდ ქმედითუნარიანი გამოდგა,
რომელსაც ზურგს უმაგრებს ამ ორი მხარის ევროინტეგრაციის პერსპექტივა.

ჩრდილოეთ კვიპროსი – კვიპროსის რესპუბლიკა

1974 წელს თურქეთის მიერ კვიპროსში ჯარის შეყვანისა და მისი ჩრდილოეთ ტერიტო-
რიის ოკუპაციის შემდეგ კუნძული დღემდე ორ ნაწილად რჩება გაყოფილი დ ჩრდილოე-
თად, რომელსაც არაოფიციალურად „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“
ენოდება, და სამხრეთად დ ოფიციალური ნიქოზიის მიერ კონტროლირებად ნაწილად.
პირველი მხოლოდ თურქეთის მიერაა აღიარებული, რომელიც კუნძულის ამ ნაწილზე
ჯერ კიდევ 35 000 ჯარისკაცს ტოვებს.¹⁹

თურქული ოკუპაციიდან გამომდინარე, უსაფრთხოების პრობლემა მუდმივად მწვავედ
იდგა კუნძულის თურქულ და ბერძნულ ნაწილებს შორის ურთიერთობაში. სამართლებრივ
დონეზე, მოცემულ საკითხს 1960 წლის „საგარანტიო ხელშეკრულება“ არეგულირებს,
რომლის მიხედვითაც კვიპროსის უსაფრთხოების დაცვა არ წარმოადგენს ექსკლუზიუ-
რად ამ უკანასკნელის შიდასახელმწიფოებრივ საქმეს, არამედ იგი ეხება სამ გარანტორ
სახელმწიფოსაც დ საბერძნეთს, თურქეთსა და ყოფილ კოლონიალურ მმართველ გაერ-
თიანებულ სამეფოს, რომლებსაც ასევე გააჩნიათ ინტერვენციის უფლება.²⁰ მოცემული
ვითარება ბერძენი კვიპროსელებისთვის მიუღებელია, რომლებიც თურქული ჯარების
სრულად გაყვანასა და ინტერვენციის უფლების შეწყვეტას მოითხოვენ. საპირისპიროდ
ამისა, კვიპროსის თურქული მოსახლეობა საკუთარი ფიზიკური დაცულობისთვის კუნ-
ძულზე თურქეთის ჯარების დატოვებას ემხრობა.²¹ აქედან გამომდინარე, კვიპროსის
უსაფრთხოების საკითხი ერთგვარ ჩიხშია შესული, რომელიც, მართალია, 1960 წლის შე-
თანხმებით საერთაშორისო განზომილებაშია გადასული, მაგრამ დიდადაა დამოკიდებუ-
ლი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებაზე.

კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში განსაკუთრებული როლი გაე-
როსა და მის მიერ წამოყენებულ სამშვიდობო ინიციატივებს დაეკისრა. 2004 წელს გაეროს
მაშინდელი გენერალური მდივნის, კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით
კვიპროსი საკმაოდ ახლოს აღმოჩნდა გაერთიანებასთან, თუმცა კუნძულის ბერძნულმა
მოსახლეობამ იგი რეფერენდუმზე ჩააგდო.²² 2013 წელს დაწყებულმა შიდა პროცესებ-
მა, კონკრეტულად კი კვიპროსის პრეზიდენტად კუნძულის გაერთიანების მომხრე ნიკოს
ანასტასიადის არჩევამ და 2015 წელს, ე.წ ჩრდილოეთ კვიპროსში მისი თანამოაზრის,
მუსტაფა აკინჩის გალიდერებამ სრულიად ახალი, თანამშრომლობაზე ორიენტირებული
პოლიტიკური რეალობა მოიტანა. 2015 წლის მაისში გაეროს ეგიდით შვეიცარიაში სტარ-
ტი აიღო სამშვიდობო მოლაპარაკებათა ახალმა სერიამ, რომელიც საბოლოოდ ერთიანი

¹⁹ Theodoulou, Michael. *Cyprus in 1974: an island divided*, *The National*, 2013 იბ. <http://www.thenational.ae/news/world/europe/cyprus-in-1974-an-island-divided>

²⁰ *Treaty of Guarantee*, 1960

²¹ Lindsay, James, *The Security Dimensions of a Cyprus Solution*, *Hellenic Observatory Papers on Greece and Southeast Europe*, *GreeSE Paper No 19*. 2008. გვ.4. იბ. http://eprints.lse.ac.uk/22027/1/GreeSE_No19.pdf

²² Anastasiades says more time needed for Cyprus solution, *Euractiv*, 2016. იბ. <https://www.euractiv.com/section/global-europe/news/anastasiades-says-more-time-needed-for-cyprus-solution/>

კვიპროსის შექმნას ისახავს მიზნად.²³ მიმდინარე დიალოგის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე აუცილებელია, გადაიჭრას ტერიტორიული საკითხი, კერძოდ, კუნძულის რა პროცენტი იქნება თითოეული მხარის კონტროლის ქვეშ ფედერაციული მოწყობის შემთხვევაში. შესაბამისად, მხოლოდ დეტალურ რუკაზე ჩამოყალიბების შემდეგ გახდება შესაძლებელი ფინალური სამიტის გამართვა, სადაც გარანტორ მხარეებთან ერთად გადაწყდება, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი ერთიანი კვიპროსის უსაფრთხოება.²⁴

აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რომ პირველი ორი შემთხვევისგან განსხვავებით, კვიპროსისთვის უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა მისი მრავალწლიანი კონფლიქტის მოგვარების არა სანყის, არამედ ფინალურ, დასკვნით ეტაპს წარმოადგენს.

საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტუალიზაცია საქართველოს კონფლიქტთან მიმართებაში

მოლდოვის, სერბეთისა და კვიპროსის კონფლიქტების ახლოდან გაცნობა უსაფრთხოებისა და მშვიდობის მშენებლობის კუთხით მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას იძლევა.

1997 წლის მოსკოვის მემორანდუმი წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას, ვინაიდან მასში, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით, ორმხრივად დათმობილი ინტერესები და ამბიციებია ასახული. ერთი მხრივ, კომინიოვმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც მხარედ დაფიქსირდა დნესტრისპირეთი და თანხმობა განაცხადა, მისთვის რიგი თავისუფლებები მიენიჭებინა, მეორე მხრივ კი ტირასპოლი მზად იყო ამ პრივილეგიებით მხოლოდ და მხოლოდ მოლდოვის რესპუბლიკის საზღვრებში ესარგებლა.

კოსოვოს მაგალითზე დაყრდნობით ნათელია, თუ რაოდენ დიდი სტიმულია ევროინტეგრაციის პერსპექტივა პრიშტინასა და ბელგრადს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების გამყარების პროცესისთვის. ამ ყველაფრის დასტურია ბრიუსელში მიმდინარე მოლაპარაკებების სერია და 2013 წლის ხელშეკრულება.

კვიპროსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის არსებული უსაფრთხოების რისი გამოწვეულია კუნძულზე თურქეთის ოკუპანტი სამხედრო ძალების ყოფნით. მაშინ, როცა არსებულ ვითარებას ნიქოზია სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს, თურქი ეთნიკური უმცირესობა გარე აქტორს მათი თვითმყოფადობის დამცველად აღიქვამს. თუმცა 2015 წელს დაწყებული მოლაპარაკებები ათწლეულების მანძილზე დაყოფილი კუნძულის გასაერთიანებლად აჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დიალოგი, ორმხრივი საზოგადოებრივი დისკურსების ცვლილება და რეალობის ახლებური გააზრება მშვიდობის მშენებლობისთვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მესამე გარეშე ძალა ამ პროცესში ჩარეული.

საბოლოოდ, როგორც ჩანს, მიუხედავად დნესტრისპირეთის, კოსოვოსა და ჩრდილოეთ კვიპროსის კონფლიქტების განსხვავებული ბუნებისა, მაინც შესაძლებელია გარ-

²³ Cyprus peace deal could come this year, confirm Turkey and US, *The Guardian*, 2016. იხ. <https://www.theguardian.com/world/2016/mar/29/cyprus-peace-deal-could-come-this-year-confirm-turkey-and-us>

²⁴ Cyprus Peace Talks End With Each Side Blaming the Other, *The New York Times*, 2016, იხ. http://www.nytimes.com/2016/11/22/world/europe/cyprus-peace-talks-turkey-greece.html?_r=0

კვეთილი უნივერსალური კანონზომიერებების აღმოჩენა, რომლებიც რელიგანტური და აქტუალური იქნებოდა თბილისის, სოხუმისა და ცხინვალისთვის.

საქართველო და ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება

ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების საკითხი სხვადასხვა სახელწოდებითა თუ ინტერპრეტაციით, ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების კონტექსტში.

პირველი სამშვიდობო შეთანხმებები, რომლებიც გულისხმობდა მხარეთა შორის ცეცხლის შეწყვეტას, ძალთა დაშორიშორებასა და კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების პროცესის დაწყების შესახებ ვალდებულების აღებას, მიღწეულ იქნა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში. ამ ხელშეკრულებებს შორის, მნიშვნელოვნების მხრივ, შეიძლება გამოვყოთ 1992 წ. 24 ივნისის სოჭის შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპებზე²⁵ და 1994 წ. 24 მაისის მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეების დაშორიშორების შესახებ,²⁶ რომელსაც წინ უსწრებდა 1993 წლის დეკემბერში ჟენევაში ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მიღწეული ურთიერთგაგების მემორანდუმი²⁷, და 1994 წელს იანვარში, ასევე ჟენევაში, ხელმოწერილ იქნა „კომუნიკე ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკებების შესახებ“,²⁸ სადაც მხარეები კვლავ ადასტურებენ საკუთარ ვალდებულებებს, არ გამოიყენონ ძალა და არ მიმართონ ძალის არგამოყენების მუქარას ერთმანეთის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა არაერთხელ დაადასტურეს ერთმანეთი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დარღვევაში, მათი მეშვეობით გარკვეულწილად მოხერხდა კონფლიქტების საომარი ფაზის შეჩერება და პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესის დაწყება.

აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის აზრით, ეს ხელშეკრულებები თავისთავად გულისხმობდა სამხედრო კონფლიქტის დასრულებას, თუმცა თბილისის მხრიდან ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულების აღების საკითხი აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა კვლავ გაააქტიურეს 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა პოლიტიკური მოლაპარაკებები სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით ფაქტობრივად ჩიხში შევიდა და ცხადი გახდა, რომ მხარეთა უკომპრომისო პოზიციების პირობებში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პერსპექტივა უახლოეს მომავალში არ ჩანდა.

ამ ფონზე, სოხუმისა და ცხინვალის განცხადებების თანახმად, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში გაიზარდა თბილისის მხრიდან კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრის საშიშროების განცდა. უსაფრთხოების თემის აქტუალიზაციას ასევე ხელი შეუწყო დაძაბულობამ გალის რაიონში (1998) და კოდორის ხეობაში (2001). 2003 წლიდან კი სოხუ-

²⁵ Сочинское соглашение о принципах урегулирования Грузинско-Осетинского конфликта от 24 июня 1992 года *იხ.* <http://www.apsny.ge/notes/1127333974.php>

²⁶ Московское соглашение о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 года *იხ.* <http://www.un.org/ru/peacekeeping/missions/past/unotmig/94-583.pdf>

²⁷ Меморандум о понимании между грузинской и абхазской сторонами на переговорах в Женеве, 1993. *იხ.* <http://www.apsny.ge/notes/1127372123.php>

²⁸ Коммюнике о втором раунде переговоров между Грузинской и Абхазской сторонами в Женеве, 1994 *იხ.* <http://www.apsny.ge/notes/1128820425.php>

მი და ცხინვალის მუდმივად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საქართველოს სამხედრო ბიუჯეტისა და სამხედრო ძალის ზრდის გამო და განიხილავდნენ ამ პროცესს, როგორც თბილისის რევანშისტული განწყობის მტკიცებულებას.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, უსაფრთხოების თემამ კვლავ წამყვანი ადგილი დაიკავა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში. სოხუმი და ცხინვალის თბილისისგან მოითხოვდა ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებას, რასაც, მათი განცხადებით, უნდა შეექმნა უსაფრთხოების უფრო ეფექტიანი მექანიზმები კონფლიქტის ზონაში, თუმცა, მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმებების მიღწევა.

2008 წლის აგვისტოს ომი და ახალი რეალობა

2008 წლის აგვისტოს ომმა ფუნდამენტურად შეცვალა საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების კონფიგურაცია: ომის დროს და მას შემდეგ რუსეთის ფედერაცია დე იურე ჩაერთო კონფლიქტში, როგორც მხარე, განახორციელა სამხედრო ინტერვენცია არა მხოლოდ კონფლიქტურ ზონებში, არამედ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განალაგა ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები და სამხედრო ინფრასტრუქტურა.^{29, 30}

შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიცვალა უსაფრთხოების კონტექსტიც, კერძოდ, მან გადაინაცვლა რუსულ-ქართული კონფლიქტის განზომილებაში, ხოლო რუსეთი გახდა კონფლიქტის მთავარი მხარე საქართველოსათვის. ნიშანდობლივია, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება³¹ ეხება ცეცხლის შეწყვეტას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, რუსეთს შორის, და არა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, რაც, თავისთავად, რეგიონში უსაფრთხოების პრობლემის განმსაზღვრელ ძირითად მოთამაშეებზე მიუთითებს.

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატი, სადაც ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს უსაფრთხოების თემატიკა და ძალის არგამოყენების შესახებ მხარეთა შეთანხმების საკითხი. ე.წ. „ჟენევის პროცესი“ მიზნად ისახავს უსაფრთხოების კომპლექსური მექანიზმებისა და უსაფრთხოების გარანტიების შემუშავებას მთლიანად რეგიონისათვის, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირების ზონების ჩათვლით, რაშიც, თავისთავად იგულისხმება აფხაზური და სამხრეთოსური მხარეების ინტერესების გათვალისწინება და პასუხისმგებლობის წილის განსაზღვრა.³²

²⁹ Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия, 2008 гб. <http://kremlin.ru/supplement/199>

³⁰ Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Абхазия, 2008 гб. <http://www.kremlin.ru/supplement/200>

³¹ Меморандум о выполнении „плана Медведева – Саркози“, 2008. гб. <http://ru.reuters.com/article/topNews/idRU-ANT86388420080908>

³² Диалоговый процесс по гарантиям безопасности в контексте грузино-абхазского конфликта, InternationalAlert, 2009, გვ. 23

2008 წლიდან დღემდე ჟენევის ფორმატში გაიმართა 38 შეხვედრა,³³ თუმცა ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ამასთანავე, ფორმატის მთელი ისტორიის მანძილზე აფხაზური და ოსური მხარეები თბილისთან ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე (მათ შორის ჰუმანიტარულ საკითხებზე) საუბრის დაწყების წინაპირობად, როგორც წესი, ითხოვდნენ (და ითხოვენ),³⁴ რომ ამ უკანასკნელმა ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულება გააფორმოს სოხუმთან და ცხინვალთან. თავის მხრივ, თბილისი ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულების აღებას ითხოვს მოსკოვისგან, რომელსაც ქართული მხარე დღეს კონფლიქტის რეალურ და ძირითად მხარედ მიიჩნევს.

ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ნომერ პირველ საკითხად გამოტანა აფხაზური და ოსური მხარეების მიერ მაშინ, როცა 2008 წლის შემდეგ თავად სოხუმისა და ცხინვალის განცხადებით მათი უსაფრთხოება უკვე უზრუნველყოფილია რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალით,³⁵ ქართულ საზოგადოებაში ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რეალურად ხელშეკრულების თემა დღეისათვის გადაქცეულია ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტად, როგორც საკუთარი სტატუსის/ლეგიტიმაციის დაფიქსირების, ასევე მოლაპარაკებების პროცესის პარალიზებისთვის.

ქართულ მხარეს აქვს რამდენიმე არგუმენტი, თუ რატომ არ აწერს ხელს შეთანხმებას უშუალოდ სოხუმთან და ცხინვალთან.

1. რუსეთის ფაქტორი. მხოლოდ სოხუმთან და ცხინვალთან ხელშეკრულების გაფორმება მაშინ, როცა რუსეთის ფედერაცია არ აპირებს ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებას საქართველოსთან მიმართებაში, თბილისის მხრიდან იქნება 2008 წლის შემდეგ დამდგარი რეალობის იგნორირება და იმის აღიარება, რომ კონფლიქტის ძირითად მხარეებს წარმოადგენენ სწორედ სოხუმი და ცხინვალი და არა რუსეთის ფედერაცია.

„2008 წლის შემდეგ რუსეთი უკვე ფორმალურადაც კონფლიქტის მხარედ გვევლინება და დღეს ასეთი ხელშეკრულების გაფორმება იქნებოდა დაბრუნება წარსულში. ეს იქნებოდა რუსეთის გაყვანა კონფლიქტიდან“.³⁶ – ასეთია, მაგალითად, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კომენტარი ხელშეკრულების თემაზე. აღსანიშნავია, რომ მსგავს პოზიციას იზიარებს ქართული პოლიტიკური და აკადემიური ელიტის დიდი ნაწილი.^{37, 38}

2. უკვე აღებული ვალდებულებები. ქართული მხარისთვის არადაამაჯერებელია საჯაროდ გაჟღერებული არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ უშუალოდ სოხუმთან და ცხინვალთან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე თბილისი პერმანენტულ საფრთხეს წარმოადგენს მათთვის. თბილისში თვლიან, რომ უსაფრთხოების კონტექსტში თბილისს უკვე არაერთხელ აქვს აღებული ვალდებულება ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით და ეს ვალდებულება დაფიქსირებულია უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე, ვიდრე

³³ 2017 წლის იანვრის მდგომარეობით

³⁴ МИД Абхазии: подписать заявление на встрече в Женеве по Закавказью вновь не удалось, ТАСС, 2016. იხ. <http://special.tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/3873640>

³⁵ Рауль Хаджимба: внешняя безопасность Абхазии гарантирована, Sputnik, 2015. იხ. <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20150122/1013678812.html>

³⁶ ამონარიდი კვლევის სამუშაო ინტერვიუდან

³⁷ ჟენევაში რუსეთი პოზიციას არ იცვლის, 24 საათი, 2013. იხ. <http://24saati.ge/news/story/41122-zhenevashi-ruse-ti-pozitsias-ar-itsvlis>

³⁸ სოსო ცინცაძე: სეპარატისტებთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება მათ არაპირდაპირ აღიარებას ნიშნავს, GHN, 2010. იხ. <http://www.ghn.ge/print.php?print=14455>

უშუალოდ ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო.

უპირველეს ყოვლისა, ქართული მხარე აქ გულისხმობს ჯერ კიდევ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ აღებულ ვალდებულებას, რომელიც დაფიქსირებულია მის მიმართვებში გაეროს, ეუთოს, ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი; შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის (2010 წლის 23 ნოემბრის) სიტყვას სტრასბურგში³⁹, ასევე, 2013 წლის 7 მარტს მიღებულ საპარლამენტო რეზოლუციას საგარეო პოლიტიკურ კურსის შესახებ,⁴⁰ სადაც პარლამენტმა ერთხმად დაადასტურა თბილისის ვალდებულება ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით, დაბოლოს – ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, სადაც საგანგებოდ არის დაფიქსირებული მხარეთა ვალდებულება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კუთხით⁴¹ და ხაზგასმულია შერიგების, როგორც კონფლიქტების მოგვარებაში უმთავრესი ევროპული პრინციპის, ერთგულება.

3. მოსკოვის მიერ სოხუმსა და ცხინვალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. უსაფრთხოების არგუმენტი კიდევ უფრო არადაამაჯერებელი გახდა თბილისისთვის მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერა სოხუმთან „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, ხოლო ცხინვალთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ შეთანხმებას, რომელთა ფარგლებშიც საკუთარი თავი გამოაცხადა მათი უსაფრთხოების გარანტიორად და ეს არაერთხელ დაადასტურეს სოხუმსა⁴² და ცხინვალშიც.⁴³

აქ აუცილებელია განვმარტოთ, რომ თბილისში, ცხადია, არ აღიარებენ ამ ხელშეკრულებებს, როგორც იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ დოკუმენტებს, მაგრამ განიხილავენ მათ, როგორც პოლიტიკურ აქტს და დე ფაქტო რეალობის ნაწილს. რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის არგამოყენების ვალდებულების აღების საჭიროებას და ნიველირებას უკეთებს სოხუმისა და ცხინვალის მიერ სხვადასხვა დონეზე გაცხადებულ საქართველოდან მომავალი საფრთხის აქტუალობას.

4. სტატუსის საკითხი. ქართული მხარე პრობლემას ხედავს იმაშიც, თუ რა სტატუსით შეიძლება დაფიქსირდნენ ხელშეკრულებაში აფხაზური და ოსური მხარეები. ბუნებრივია, ქართული მხარე ვერ გააფორმებს სოხუმთან და ცხინვალთან ისეთ შეთანხმებას, რომელიც ქართულ (და საერთაშორისო) საზოგადოებაში აღქმული იქნება, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისკენ გადადგმული ნაბიჯი. მეორე მხრივ, თბილისში არსებობს ეჭვი, რომ რეალურად სოხუმსა და ცხინვალში შეთანხმება სჭირდებათ სწორედ თბილისის მხრიდან გარკვეული ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად. ასე, მაგალითად, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი თვლის, რომ „როცა ცხინვალისა და სოხუმიდან დღეს საუბრობენ ხელშეკრულების აუცილებლობაზე, მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთადერთი მოტივა-

³⁹ ЕС приветствует обещание Тбилиси о неприменении силы, Civil.ge, 2010. იხ. <http://civil.ge/rus/article.php?id=21421>

⁴⁰ Принятая по обоюдному согласию резолюция по внешней политике, Civil.ge, 2013. იხ. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=24539>

⁴¹ „საქართველო-ევროკავშირი სასოცირების შესახებ“ გზამკვლევი. თბ. 2014. გვ. 11

⁴² სოხუმთან გაფორმებული ხელშეკრულების მეექვსე პუნქტის თანახმად, «В случае совершения акта агрессии (вооруженного нападения) против одной из Договаривающихся Сторон другая Договаривающаяся Сторона предоставляет ей необходимую помощь, включая военную, а также оказывает поддержку находящимся в ее распоряжении средствами» იხ. <http://kremlin.ru/supplement/4783>

⁴³ «Российская Федерация обеспечивает оборону и безопасность Республики Южная Осетия, включая защиту и охрану государственной границы Республики Южная Осетия.» იხ. <http://kremlin.ru/supplement/4819>

ცია – მათ სურთ რაღაც ტიპის ლეგიტიმაციის მოპოვება, რაც შემდგომ, შესაძლოა, აქციონ სხვა ტიპის ლეგიტიმაციად“. ⁴⁴

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისი ჟენევის პროცესში, თავის მხრივ, მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, აიღოს ვალდებულება ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმართებაში. იმავეს მოუწოდებს მოსკოვს ევროკავშირი⁴⁵ და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა რუსეთის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლიდან უკვე ფორმალურადაც წარმოადგენს კონფლიქტის მხარეს და რეალურად გააჩნია კონფლიქტის განახლებისთვის საკმარისი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი, ამ კონტექსტში არ განიხილავს საკუთარ თავს, როგორც კონფლიქტის მონაწილეს და აცხადებს, რომ ეს საკითხი უშუალოდ თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის უნდა გადაწყდეს⁴⁶.

შესაბამისად, საკითხი გამუდმებით უბრუნდება საწყის წერტილს და იქმნება ჩაკეტილი წრე.

2012 წლის არჩევნები: ახალი მთავრობა, ახალი მიდგომები?

აღსანიშნავია, რომ ამ ჩაკეტილი წრის გარღვევა ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომელიც სერიოზულად განსხვავდება წინამორბედი ხელისუფლებისგან კონფლიქტებისადმი მიდგომის საკითხში.

2012 წლის ოქტომბერში მოსულ ხელისუფლებას, რომელიც რუსეთთან პრაგმატულ საგარეო პოლიტიკაზე აკეთებს აქცენტს, იმთავითვე უფრო მოქნილი პოზიცია ჰქონდა კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით. ამის ერთ-ერთ გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც „რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის“ სახელწოდების შეცვლა და „რეინტეგრაციის“ „შერიგებით“ ჩანაცვლება, რაც შერიგებაზე ორიენტირებული პოლიტიკური ნების დემონსტრირება იყო აფხაზური და ოსური საზოგადოებების მიმართ. სახელის შეცვლის პარალელურად სოხუმის მხრიდან ფაქტობრივად აღარ ისმის თბილისის მიმართ ბრალდებები და ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მომხდარ სხვადასხვა ინციდენტებზე. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ბორდერიზაციისა და და ფაქტო სტრუქტურების მხრიდან გამყოფი ხაზის გადაკვეთისთვის მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფონზე იმატა სამედიცინო და სხვა ჰუმანიტარული საჭიროებებისათვის მომართვიანობის რიცხვმა. ხელისუფლების მხრიდან მეტი ღიაობისა და არსებული რეალობის პრაგმატულად აღქმის მანიშნებელია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის“ რევიზიის პროცესის ინიცირება⁴⁷ და 2016 წლის ახალი მონვევის პარლამენტში ამ თემის პირველადი განხილვის საკითხად დასახელება.⁴⁸

⁴⁴ ამონარიდი კვლევის სამუშაო ინტერვიუდან

⁴⁵ ЕС призывает Россию выступить с обещанием неприменения силы в отношении Грузии, Civil.ge, 2012 ივ. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=23112>

⁴⁶ Тбилиси обвиняет Москву в нежелании гарантировать Грузии неприменение силы, Interfax.ru, 2014, ივ. <http://www.interfax.ru/world/367821>

⁴⁷ ეკა ბესელია – „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან კრიტიკას იღებს, IPN, 2016. ივ. <http://www.interpressnews.ge/ge/politika/408409-eka-beselia-okupirebuli-teritoriebis-shesakheb-kanonthan-dakavshirebith-saqarthvelo-saerthashoriso-organizaciebisgan-kritikas-ighebs.html?ar=A>

⁴⁸ იქვე

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის სახელის შეცვლას არ მოჰყოლია კონფლიქტებთან მიმართებაში წინა ხელისუფლების პირობებში შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების განახლება და ახალი ხედვების წერილობითი სახით გასაჯაროება, რაც შესაძლებელია ახალი მმართველი გუნდის შიგნით შერიგების პოლიტიკის საკვანძო მიდგომების მიმართ კონსენსუსის არქონის და/ან კონფლიქტების საკითხების არააქტუალურად აღქმითაც იყო გამოწვეული.

2012 წლიდან უფრო მოქნილი გახდა თბილისის პოზიცია სოხუმთან და ცხინვალთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების თემასთან დაკავშირებითაც. ასე, მაგალითად, თუ 2008 – 2012 წლებში ქართული მხარე კატეგორიულად გამორიცხავდა რაიმე შეთანხმების გაფორმებას სოხუმთან და ცხინვალთან⁴⁹ (რადგან საერთოდ არ აღიარებდა მათ, როგორც კონფლიქტის მხარეებს), 2012 შემდეგ ქართული მხარე არ არის წინააღმდეგი, გარკვეული ხელშეკრულება გააფორმოს მათთან, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც უსაფრთხოების საკითხი მოგვარდება რუსეთსა და საქართველოს შორის, რაც გათვალისწინებულია 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით და რისთვისაც შეიქმნა ჟენევის ფორმატი.⁵⁰

*„ჩვენ მზად ვართ, მეორე დღესვე მოვანეროთ ხელი ხელშეკრულებას აფხაზებთან და ოსებთან მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება ხელშეკრულებას რუსეთთან ძალის არგამოყენების შესახებ. ნაციონალური მოძრაობის მთავრობისგან განსხვავებით ჩვენ ვეუბნებით აფხაზებს და ოსებს, რომ მზად ვართ, ამ საკითხზე ვიმსჯელოთ. ჩვენ პატივს ვცემთ მათ მოსაზრებას და გვინდა გავაქარწყლოთ მათი შიშები, მით უმეტეს, რომ ამ შიშის არავითარი საფუძველი არ არსებობს, ოღონდ ამ ხელშეკრულებებზე საუბარი შეიძლება დავინწყოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება ხელშეკრულებას რუსეთთან“.*⁵¹ – აცხადებს „ქართული ოცნების“ მთავრობის ერთ-ერთი (ყოფილი) წარმომადგენელი.

ამ კომენტარში აშკარად იკვეთება კონფლიქტებისადმი მიდგომებში მომხდარი ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა 2012 წ. არჩევნების შედეგად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მაგრამ აქვე უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქართული მხარის მიდგომებში 2012 წლის შემდეგ მომხდარი ცვლილებებისა, რუსეთის ფედერაციას, თავის მხრივ, არ შეუცვლია დამოკიდებულება საკითხისადმი, არ გადაუდგამს შემხვედრი ნაბიჯები და მეტიც – სწორედ 2012 წლის შემდეგ გაფორმდა ხელშეკრულებები მოსკოვსა და სოხუმს, ასევე მოსკოვსა და ცხინვალს შორის, რომლებმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თბილისში და კიდევ უფრო გაართულა მოლაპარაკებების პროცესი.

დასკვნა

კვლევის პროცესში ნათელი გახდა, რომ არსებულ რეალობაში ქართული მხარე საკმაოდ რთულ პირობებშია ჩაყენებული: ის ან უნდა შეეგუოს, რომ მხარეთა დღევანდელი პოზიციების პირობებში სტატუს-კვოს ცვლილება მოსალოდნელი არ არის და დაელოდოს საერთაშორისო გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებას, რაც უფრო ხელსაყრელ ნიადაგს შექმნის პოლიტიკური დიალოგისთვის, ან ნდობის აღდგენისა და კონფლიქტ-

⁴⁹ ვაშაძე ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულებაზე საუბრობს, *Civil.ge*, 2010. იხ. <http://civil.ge/geo/article.php?id=22614>

⁵⁰ პაატა ზაქარეიშვილი: აფხაზების შანსია რუსეთი ან ევროპა საქართველოს საშუალებით, *Netgazeti.ge*, 2014. იხ. <http://netgazeti.ge/opinion/33842/>

⁵¹ ამონარიდი კვლევის სამუშაო ინტერვიუდან

ბის რეალური მოგვარების პროცესის დაწყების პერსპექტივის გაჩენისათვის წავიდეს პოლიტიკურ კომპრომისზე და ხელი მოაწეროს ძალის არგამოყენების შეთანხმებას მხოლოდ სოხუმთან და ცხინვალთან გარკვეული წინადათქმებით.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ეს საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დამდგარა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში ამგვარი კომპრომისის იდეა არ გამოირიცხება და ეს საქართველოს მხრიდან მხოლოდ ნდობის აღდგენის და არა სხვა, მაგ. აფხაზებისა და ოსების უსაფრთხოების საჭიროების აღიარების დემონსტრირებად განიხილება, ოღონდ იმ პირობით, თუ ძალის არგამოყენებასთან ერთად მხარეები შეთანხმდებიან სხვა საკვანძო საკითხებზეც. ანუ ძალის არგამოყენების თემა უფრო ფართო შეთანხმების ნაწილად შეიძლება განიხილებოდეს:

„ნებისმიერი ფორმატი და შეთანხმება, სადაც მხარეები მხარეების სტატუსით იქნებიან წარმოდგენილი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ჩვენ გავაფორმებთ ხელშეკრულებას სოხუმთან და ცხინვალთან, ამ ხელშეკრულებაში არ უნდა იყოს საუბარი მხოლოდ ძალის არგამოყენების შესახებ. აქ უნდა იყოს პუნქტების მთელი ჩამონათვალი, მათ შორის ეკონომიკური საკითხები და სხვა“⁵² – აცხადებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ, რაკი 2012 წლიდან დღემდე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს გვაფიქრებინებს, რომ რეალურად დღეს სოხუმსა და ცხინვალშიც არ არის საკმარისი მოტივაცია ფართომასშტაბიანი შეთანხმების მისაღწევად, რომლის ერთ-ერთი ასპექტიც შეიძლებოდა ყოფილიყო ძალის არგამოყენების საკითხი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სოხუმსა და ცხინვალში არ არიან მზად იმ საკითხებზე სასაუბროდ, რომლებიც ქართული მხარისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (მაგალითად, დევნილების თემა და ა.შ.) ან შესაძლებელია, რომ ძალის არგამოყენების ხელშეკრულების თემამ მათ საზოგადოებებში, არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაკარგა აქტუალობა, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტმა, და ამჟამად მხოლოდ მოლაპარაკებების პროცესის პედალირებისა და/ან პოლიტიკური სტატუსის ინსტრუმენტად გამოიყენება.

შესაძლებელია თუ არა, რამე შეიცვალოს ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში?

ერთი მხრივ, ამისთვის არსებობს რამდენიმე პოზიტიური წინაპირობა:

- საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც, წინამორბედი ხელისუფლებისგან განსხვავებით, გაცილებით პრაგმატული და მოქნილია კონფლიქტებთან მიმართებაში.
- ქართულ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ აზრში მომხდარი ცვლილებები ევროპეიზაციისა და ევროპული ღირებულებების მიმღებლობის, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების უალტერნატივობის კუთხით.
- ქართული საზოგადოების უკომპრომისოდ განწყობილმა ნაწილმა 2008 წელს დაკარგა კონფლიქტების უახლოეს მომავალში მოგვარების იმედი და ინტერესიც ამ საკითხის მიმართ. აქედან გამომდინარე, ეტაპობრივად, თავად კონფლიქტების თემამაც ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში გარკვეულწილად მეორე პლანზე გადაინაცვლა⁵³. ხოლო ნაციონალური

⁵² ამონარიდი კვლევის სამუშაო ინტერვიუდან

⁵³ წულაძე, ზაზა. ტერიტორიული მთლიანობა – ეკონომიკური პრობლემების ტყვეობაში, ამერიკის ხმა, 2016. იხ. <http://www.amerikiskhma.com/a/ndi-georgia-polls/3279380.html>

მოძრაობის პოლიტიკურმა მარცხმა, რომელიც ტერიტორიულ კონფლიქტებთან მიმართებაში საზოგადოების უკომპრომისო ნაწილის განწყობებს გამოხატავდა, ასევე გარკვეულწილად „გამოათავისუფლა“ სივრცე ალტერნატიული ხედვებისა და მიდგომებისთვის.

- ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგის პროცესებში მონაწილეობის შედეგად ქართულ საექსპერტო და სამოქალაქო სივრცეში დაგროვილი ანალიტიკური პოტენციალი, რომელიც არსებული ჩაკეტილი წრის გარღვევაზეა ორიენტირებული.⁵⁴

ამ ფაქტორების ერთობლიობა გვაძლევს შესაძლებლობას, ვივარაუდოთ რომ თბილისში დღეს არსებობს გარკვეული წინაპირობები იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებაში დაიწყოს სერიოზული მსჯელობა და შიდა დისკუსიები სოხუმთან და ცხინვალთან შესაძლო ფართო ფორმატის შეთანხმების დოკუმენტების ტექსტის თაობაზე გარკვეული წინადატემებით, რაც რუსეთ-საქართველოს შორის უსაფრთხოების შესაბამისი დოკუმენტის შემუშავებასთან იქნება დაკავშირებული. ხოლო უშუალოდ ძალის არგამოყენების საკითხები შეიძლება იყოს ამ ფართომასშტაბიანი შეთანხმების დოკუმენტის ერთ-ერთი ნაწილი.

თუმცა აქაც ხაზგასასმელია ის, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი შეთანხმების მიღწევის პროცესი შეუძლებელია კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის მხრიდან ურთიერთკომპრომისებისა და არგუმენტების რელევანტურობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ პირობებში, როცა ქართული მხარის მხრიდან ძალის არგამოყენების დოკუმენტის საჭიროება მხოლოდ ნდობის აღდგენის პროცესის ნაწილია, მთლიანად პროცესი ცალმხრივი მოტივაციის რეალიზაციის კონტრპროდუქტიულობის დემონსტრაციად შეიძლება გადაიქცეს.

შესაბამისად, ერთი მხრივ, თბილისში არსებული მმართველი ძალის უალტერნატივობის პირობებში, რაც მოქმედების მეტ თავისუფლებას აძლევს ხელისუფლებას გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად, მაგრამ ამ ნაბიჯების შესაძლებლობას მხოლოდ მის პოლიტიკურ ნებაზე დამოკიდებულს ხდის, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების უპირობო მხარდაჭერის მიუხედავად, დადგება თუ არა საბოლოოდ ეს საკითხი თბილისის პოლიტიკურ დღის წესრიგში, დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებასა და საქართველოს ხელისუფლებაზე, არამედ კონფლიქტის სხვა მხარეების ნებაზე: აფხაზური და ოსური საზოგადოებების მოტივაციაზე; რუსეთის ფედერაციის პოზიციასა და გლობალურ გეოპოლიტიკურ კონტექსტზე, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე.

⁵⁴ კავკასიური სახლი & ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი. კონფლიქტები საქართველოში: მიმდინარე ეტაპის თავისებურებები და ამოცანები, 2015. იხ. <http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2014/06/Conflicts-in-Georgia.pdf>

**NON-USE OF FORCE AGREEMENT:
TBILISI AT THE CROSSROADS**

**IVANE ABRAMASHVILI
ZVIAD AVALIANI**

2017

This research analyses the approaches of Georgian society towards one of the mechanisms of regional security – the non-use of force - and tries to find the ways out of the existing situation. Report, based on this research, was presented at the international conference held in Minsk, Belarus, during 10-12 February.

This publication was created in the frames of the regional project “Building a New Peace, Security and Stability Architecture in South Caucasus” with the support of the UK government’s Conflict, Stability and Security Fund.

Opinions, expressed in the publication are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the official views of the UK government.

Authors: Ivane Abramashvili, Zviad Avaliani

Editor: Nino Kalandarishvili,

Translator: Guram Dumbadze

Designer: Kate Gabrys

Print Run: 150

ISBN 978-9941-9510-2-2

CONTENTS

INTRODUCTION	22
PRINCIPLE OF NON-USE OF FORCE IN INTERNATIONAL LAW	23
INTERNATIONAL CONTEXT OF NON-USE OF FORCE AGREEMENT	23
Transnistria – Moldova	23
Kosovo – Serbia	24
Northern Cyprus – Cyprus Republic.....	25
CONTEXTUALIZATION OF INTERNATIONAL EXPERIENCE INTO GEORGIAN CONFLICTS	26
GEORGIA AND THE NON-USE OF FORCE AGREEMENT	27
2008 war and the new reality.....	27
2012 parliamentary elections: new government, new approaches?	30
CONCLUSION	31

INTRODUCTION

